View metadata, citation and similar papers at core.ac.uk
brought to you by CORE
provided by Digital repository of National Parliamentary Library of Georgia

ი ო ს ე ბ დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი

<u>ს ი მ ღ ე რ ა ჩ უ ქ ურ თ მ ი ს მ ჭ რ ე ლ ი ს ა</u>

(ვუძღვნი დავ. გიგაურს)

მეც მისწავლია რამე,
ხელოსნათა ვწერივარ;
ხელში მიჭირავს ხვედა.
ჩუქურთმისა მჭრელი ვარ.

ცუდ საქმეს ვერიდები,
კეთილისა მმღერი ვარ;
არა მაქვს დიდი სწავლა
და მცირესა ვჯერივარ.

ყალბად და მატყუარად
არვის დაუჭერივარ;
შრომით ლუკმას ვშოულობ
და მით ბედნიერი ვარ.

მიყვარს ჩემი ტოლები,
ვისიცა საფერი ვარ;
ოსტატიც ვარ, შეგირდიც,
ჩემთვის ყველაფერი ვარ.

ხანდისხან მაქვს საქმე.
ხანდისხან ისე ვზივარ;
არვის არ შევაწუხებ,
თუნდაც რომ მშიერი ვარ.

მოძმეს რომ შევეწიო,
სულ ყოველთვის მზადა ვარ;
თანაც ვტირი ჩემ ბედსა,
უსწავლელი რადა ვარ.

მხოლოდ ვიცი ხელობა,
შრომაშიაც მარდი ვარ,
მაგრამ ამასა ვწუხვარ,
რომ ქვეყნისა ბარგი ვარ.

1877 წ., 2 მაისი.

თ ა მ ა რ დ ე დ ო ფ ლ ი ს ლ ე ქ ს ი

საქართველოს დედოფალი,
დედა-ქართლისა _ თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი.

დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი,
დიდუბეში იქორწილა,
სადაც რომ საყდარი არი.

ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თავის ჯარი;
ასი სული ცხვარი დაკლა
და ორასი ნიშა ხარი.

ლურჯი სუფრა გაუშალა,
იქნებოდა ასი მხარი,
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.

სიმშვენიერით მოსილი,
დედა-ქართლისა _ თამარი,
საქართველოს დაეკარგა
ოქროს ქსოვილი ქამარი.

სიბრძნით, სიუხვით ქებული,
დილის ცისკარის სადარი!
ის მნათობი-ქვეყნიერი,
მკვდარიც ვერ ვპოვეთ, სად არი!

(1877 წ.)

მ ი ბ ა ძ ვ ა დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა

კაცი ხარ, კაცად შობილი
კაცი გიყვარდესო;
გაჭირვებულსა უშველე,
სადაც უჭირდესო.

ეკლესიას დახვიდოდე
ყოველ უქმე დღესო;
დავითნი და სახარება
ორივ იქა ძევსო.

იმათში ესე წერია:
კაცი გიყვარდესო;
კეთილისთვისა ბოროტად
ვინც ვალს გიხდიდესო,

სამაგიეროს ნუ უზამ
დე, თვით გადახდესო,
ჩვენსა მხსნელსაც ეს დამართეს,
კაცთა მოყვარესო.
კეთილისთვისა კეთილი
ჯვარზედ მიაკრესო,
ხელებში და ფეხებშია
ლურსმები დაჰკრესო!

პეტრესა, იმის მოციქულს,
ტყავი გააძვრესო,
ძმაო, კაცთა ხსნისათვისა
თავი იწვალესო!

თვით თუ მოკვდნენ, მათი საქმე
შენ ხომ წინ გიძევსო;
ეწამე შენც მათსავითა,
დეე, რაც გახდესო.

აბა, ეცადე კაცთათვის,
კაცი გიყვარდესო;
გაუნაწილე ყველასა,
რაც კი რამ გქონდესო.

საწყლებსა და დავრდომილებს,
შრომის მოყვარესო,
შენი ხსენებაც ამქვეყნად
სახსოვრად დარჩესო.

1878 წ. 22 ივლისი.
თბილისი.

<u>დ ა ტ ვ ი რ თ უ ლ მ უ შ ა ს</u>

(ვუძღვნი ზ. ჭ.)

მებრალვი, მუშავ საწყალო,
ტვირთი რომ გაწევს დიდია;
ეცადე, უქმი დატვირთო,

იკმარე, რაც რომ ზიდია.
მე კარგსა რასმე აგირჩევ,
მიღება შენზე ჰკიდია;
სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიდია...

ეცადე, სწავლა მიიღო,
იგი ცხოვრების ხიდია,
მაშინ გეშველოს, ძირს დასდო,
ეხლა რომ ტვირთი გკიდია.

არ დაივიწყო, გახსოვდეს,
მხსნელი და შემომქმედია,
მოძმისა ტანჯვა გაიგე,
მამულს რაც გადახედია.

რამდენჯერ სისხლით მორწყულა
მინდორი, მთა და ქედია,
მაგრამ ჩვენს მამებს ბრძოლაში
არ დაუხრიათ ქედია.

კარგა გაიგე დროთ ბრუნვა,
ზემყოფი ბევრჯერ ქვედია
ჩემი რჩევანი ეს არის,
სხვა რა ვსთქვა _ იტყვი ყბედია.

1879 წ. 4 ნოემბერი.

ქართველ ქალებს

ქართველნო ქალნო, იმხნევეთ,
გვარი არ წაგიხდენიათ;
მარად იშრომეთ ქართულად,
თქვენ ძველებს ვით უშრომიათ.

შვილები ზარდეთ მხნე, მშრომნი,
უყვარდეთ ქართველთ გვარია,
მამულის იყვნენ ერთგულნი,
როგორც ვაჟკაცის ვალია.

იზრუნეთ სიწმინდისათვის
და გაახილეთ თვალია,
შვილთ შთააგონეთ, რომ ქვეყნის
მათ აწევთ დიდი ვალია.

და ვინც უმტყუნოს მამულსა,
გაუწყრეს მაცხოვარია,
ვეღარ იხილოს განთიადს
ვარსკვლავი «ხარიპარია».

და ახლა თუ წყვდიადში ვართ,
შემდეგ გვინათდეს მთვარია,
დაგვიდგეს კაი ზაფხული,
ამწვანდეს მთა და ბარია.

აღარა დარჩეს სვავ-ყორანს
მშრომელის მონაგარია,
აგვშორდეს უსწავლელობა,
გაგვეღოს სიბრძნის კარია.

1880 წ. 3 იანვარი.
ქ. თბილისი.

ჩვენი ივერი

ჩვენი ივერი, ბედნიერი, სამოთხის ფერი,
შიგ ხალხი მყოფი მშრომელი და გულისხმიერი.
სულით უმანკო, გულით უხვი, ყოვლად ძლიერი,
ღმერთის მოყვარე, უწყინარი, ქართველი ერი...
დროთა ბრუნვისგან არს სნეული, ჩვენი ივერი!
მაგრამ მოელის დრო კაცური, დრო მშვენიერი;
ვეღარ დაჩაგროს დღეს რომ სჩაგრავს ჭკუით მშიერი,
ძუნწი ვაჭარი, ქურდ-ბაცაცა, ფულით ძლიერი.
სასწვრით და დავთრით ეს ჩვენი მტერი,
ჯერ მაცდურ ხელით და მერე ენით,
საწყლებს რომ აგვდის ზურგებზე მტვერი...
მათ დაგვასუსტეს, არ გვაძევს ფერი...
ვალში წაგვართვეს სულყველაფერი:
სიმინდი, პური, შვრია და ქერი...
ყურში ჩაგვძახის ჩვენი ივერი:
ადექით, შვილნო, მამულის გმირნო, თქვენია ჯერი...
ხალხს დრო აღვიძებს ახლის მომტანი, დრო ბედნიერი...
გულით ნათელი, სულით უმანკო, ერთობას მღერი,
კეთილის მდომი, კეთილის მყოფი, ბოროტის მტერი,
ცოცხლდება ერი, თავს ედგმის ჭერი მას მშვენიერი,
მონათ ნამყოფსა, კეთილ ნაყოფსა, ეძლევა ფერი.
შენ, მაცხოვარო, ჩვენ, მაცხოვარო,
შენს მაგალითს სდევს დღეს შენი ერი!..
გთხოვთ, დაუმარცხო აწ მისი მტერი...
რომ გვესმას მარად მშვიდი და წყნარი

რუსთველის ქნარის ხმა, ის ნეტარი;
პყრობილ ჩაგრულებს გაეღოს კარი,
შუქმა მოიცვას სულ მთა და ბარი...

1880 წ., 10 აპრილი.
თბილისი.

<u>უწინდელი ამბავი</u>

მოდით, გლეხნო, აქ დასხედით,
გეტყვით უწინდელს ამბავსა,
თუ როგორა უცხოვრიათ,
მაშინ ჩვენ მამა-პაპასა.

ოდეს ჩვენი ბედის ჩარხი
უცხოელებს ჰქონდათ ხელში,
წუთი შვება არ ჰქონიათ
ჩვენს წინაპრებს თავის დღეში.
უწინ, ძმანო, მამა შვილსა
თავის პირმშოდ როდი სთვლიდა;
იცოდა, რომ დღეს თუ ხვალა,
იმას მტერი წაართმევდა!

იმ დროს ბალღიც თურმე ძუძუს
გულიანად როდი სწოვდა;
იცოდა, რომ ის ოდესმე
მტრისა მსხვერპლად გახდებოდა.

მაშინ გლეხსაც თავის თავი
სულაც არ ენანებოდა,
თვით კვდებოდა და მამულიც
ისე ოხრადა რჩებოდა.

შინ შრომაში, გარეთ ომში,
სულ ყველგან გლეხი კვდებოდა;
რას იქმნოდა, აბა, მითხართ,
თუნდაც რომ დანანებოდა.

შინ საქმისთვის ვის ეცალა,
გეეწია ანგარიში,
სიკვდილამდის თან დაჰქონდა
დღე მუდამ ვაგლახ-ვიში.

ასე , ძმანო, წვალებულა’

საცოდავი გლეხის შვილი,
დღე-მუდამ თვალწინ სდგომია
ან დარბევა, ან სიკვდილი.

თუმცა მტრები ავიცილეთ,
უქმად დაგვრჩა მთა და ბარი.
გამართევით, თუ ძალ გიძით,
თქვენი ღონე თქვენ ხელთ არი.

ხედავთ, ღმერთმა წილად მოგცათ
შემკობილი მთა და ბარი,
რომელშიაც იპოება'
კაცის სარჩო ყოველგვარი...

1880 წ., 15 ივნისი.

<u>დ ა რ ი გ ე ბ ა</u>

უფალმა შეგქნა მიწიდან,
მოგცა ჭკუა და ღონეო;
დღითი დღე სწავლა ეძებე,
რაც გითხრა, გამიგონეო.

იგი მიეცი ყოველ კაცს,
რაც კი რამ მოიგონეო;
ისწავლე პირველად წიგნი,
სუყველას ჩააგონეო!

უთხარი: ხელი გასძარი,
რაც გითხრა, გაიგონეო;
ქართველი კაცი გმირი ხარ,
ძილს როგორ დაემონეო!..

ეცადე, სწავლა მიიღო,
მკლავში ხომ გიდგა ღონეო;
ისმინე ჩემი ნათქვამი,
რაც გითხარ, დაიხსომეო.

სწავლაა ბნელის ფარანი
და ამ ქვეყნისა ღონეო;
ქართველი კაცი გმირი ხარ,
ძილს როგორ დაემონეო!..

1880წ., 20 ივნისი.

ს ი ს ა წ ყ ლ ე

წყეული იყავ, სისაწყლევ,
შენში ცხოვრება ჭირია;
ჩემთვის არ არის განცხრომა,
სიმღერის ნაცვლად ვსტირია.

ერთიღა მხოლოდ მამხნევებს,
რომ შევისწავლე სტვირია;
ამას დავმღერი ჩემ შავ ბედს,
ვიდრე მომივა ძილია.

მაშინ ისვენებს ხელ-ფეხი,
მუდამ ტყავგადახდილია...
ავდგები, შრომას დავიწყებ,
მუშა ვარ, შრომა ტკბილია.

ვახსენებ მამა უფალსა,
არ ამარიდოს პირია.
ბოროტისაგან დამიცვას
და ამაშოროს ჭირია.

მოგვცეს ძმობადა ერთობა,
დაგვიფრთხოს უდროთ ძილია;
ორპირობისგან დაგვიხსნას,
მოგვცეს სულ ერთი პირია.

გვიმრავლოს ყველა მუშები,
გიორგი, თუნდა ილია;
გვქონდეს სამყოფი მამული,
სახლ;ები გვქონდეს თბილია.

1880 წ., 3 სექტემბერი,
გორი.

მ შ ო ბ ლ ე ბ ს ს ა ლ ა მ ი

იკურთხოს მათი მარჯვენა,
ვინც კვერსა სცემდეს ზინდანსა;
ვინც შრომითა არჩენს ცოლ-შვილსა,
პურსა სჭამს შრომით წმინდასა.

სახელი, პატივიდიდება’
მათ ოფლსა, შრომით დაღვრილსა,
სიმრავლე, გამარჯვებაი
მათს ყველას ნაწაღმართევსა.
ვინც გუთანს მართავს, ოფლსა ღვრის
და ვინც მსახურობს მოძმესა,
ვინაც იხრება ტვირთ ქვეშა
და მით ინახავს ცოლ-შვილსა.

სახელი, პატივდიდება
მათ ოფლსა, შრომით დაღვრილსა,
სიმრავლე, გამარჯვებაი
მათს ყველას ნაწაღმართევსა.

ნუ დაივიწყებთ ნურც იმათ,
ვინც იტანჯვიან ძმათათვის,
თვითონ შიმშილსაც ითმენენ,
კეთილს ეძებენ სხვათათვის.

სახელი, პატივდიდება
მათ ოფლსა, შრომით დაღვრილსა,
სიმრავლე, გამარჯვებაი
მათს ყველას ნაწაღმართევსა.

1880 წ., 10 დეკემბერი.
ქ. ტბილისი.

ე ნ ა

მისთვის მომცა ღმერთმა ენა,
უნდა ყველგან დავიყვირო:
მუდამ ვძებნო სამართალი,
თუნდა ქვითაც დავიკირო.

ბევრჯერ ვნახო დღენი ტკბილი
და ბევრჯერაც გავიწბილო;
მცირეს ვსჯერდე ოფლით ნაშოვნს,
მრავლისათვის არ ვიტირო.

მოძმის ვიყვე შემწე ჭირში,
ვიხარო და გავახარო!
რაც კი ვნახო მასში ცუდი,
გამოვსთქვა და არ დავფარაო.

დეე, მტანჯონ მართლისათვის,
მე იგი არ გავიკვირვო;
მხოლოდ მინდა, რომ რითიმე
«ბოროტება დავიჭირო:

ვინც რომ მშრომელს და ტვირთ-მძიმეს
ხელსაწყოდ და ნივთად სთვლიან,
იმათ ნაშრომს, ოფლით ნაშოვნს,
გასთვლიან და გამოსთვლიან.

1880 წ.

ახალ მელექსეს

კარგს აქებ, ცუდსა აძაგებ,
მაკიცხარი ხარ მოდისა;
არ დამირიდო, მუშა ვარ,
ნება მიბოძე ცნობისა!

მიცან და ერთად შევებათ
ახალ ცხოვრების უღელში;
«მე» მოვსპოთ, «ჩვენა» ვიხმაროთ,
მით მოძმეს მივცეთ ნუგეში.

ვეცადოთ მარჯვედ ვიხმაროთ
ქაღალდი, მელან-კალამი,
მჩაგვრელებს მხარი ვუქციოთ,
ჩაგრულებს მივსცეთ სალამი.

სწავლისა, განათლებისა,
ავმართოთ დროშა-ალამი;
მამულის მართვას შევუდგეთ,
განვაგდოთ გულის ვარამი.

1881 წ., 10 იანვარი.
თბილისი.

ჩემი ლოცვა

(მიბაძვა დავით გურამიშვილისა)

იესო, კაცთა მოყვარე, მხსნელო დამბადეო.
ოცდაათ ვერცხლად ნასყიდო, სიმართლისა ბჭეო!

სისულელეს ამაშორე, სიბრძნეს შემყარეო,
ერთი საწყალი გლეხი ვარ, მეწისქვილის ძეო.
ბეთლემის ქალაქს შობილო, ცხოვრებისა ხეო,
დავარდნილვარ უმეცრებით, შენ მომეხმარეო;
ამაკრეფინე ცოდნანი, ქვეყნად მავლინეო,
ვითარცა მკვდარი საფლავით, მეც აღმადგინეო.
იესო, კარგო მკურნალო, წამალი დამდეო,
თაყვანს გცემ, ჩემთვის ტანჯულო, შენ მომეხმარეო;
ავაზაკათა ვინ გიცნო, კაცთა მოყვარეო!
შნო მომე შენის ქვებისა, გთხოვთ და მიბოძეო.
ვერძი ვარ, მგელს ნუ შემაჭმევ, დამიცვ, დამფარეო,
იესო, ძეო ღვთისაო მტერს ამაშორეო...
ლოცვა ჩემი შეისმინე, რაც რო მე გთხოვეო;
იოსებად წოდებულსა, გზა გამიკვლიეო!

1881 წ., 10 აპრილი.
ქუთაისი.

<u>ს ა მ შ ო ბ ლ ო</u>

სამშობლო, ჩემო ლამაზო,
ზურმუხტო, ანუ ალმასო,
ვიდრე შენს მკერდზე დავდივარ,
გთხოვ, მწარე რამე არ მასო.

მშვენიერი გაქვს ბუნება,
სხვებიც ამბობენ ამასო;
მაგ შენმა დაღონებამა,
გული დარდებით აღავსო.

სამშობლო ყველას გიყვარდეთ,
ვისაც რო ღმერთი კი გწამსო,
სამშობლოს დამვიწყებელი
მაღალმა ღმერთმა დაამსო.

ვის დედაენა არ მოსწონს,
მას ეშმაკები ახლავსო,
ცოცხალ იქნება დევნილი,
მკვდარსაც მატლები დახრავსო.

1881 წ., 19 აპრილი.
ქუთაისი.

<u>ჩ ვ ე ნ ი დ რ ო</u>

თაყვანს სცემენ მდიდართ მორთულს,
ფულით მაძღარს, ჭკუით მშიერს,
ხოლო ძვირად ხელს უწვდიან
მიწის მუშას, ოხერ-ტიელს.

ვისაც ჭერად ცა აქვს თავზე,
იატაკად _ ფეხქვეშ მიწა,
მას მიწა ზრდის, ასაზრდოებს
მშობელი და კარგი ძიძა.

გაზაფხულსა ელოდება,
ქვეყნად მოვა სხივი მზისა,
ის პირუტყვი ნუ გგონიათ,
ჭირნანახი შავი დღისა!

ის შრომობს და გულს არ იტეხს,
იმედი აქვს მომავლისა;
ფიქრობს: წავა ეს დრო ცუდი,
ნახავს ბუნების ქორწილსა.

ეს მიკვირს და ეს მაკვირვებს,
ვინ წაართმევს დედას შვილსა?
მიწას დედას ვინც ეძახის,
უნდა ჰქონდეს იმას ისა.
მით მოისპოს ვაების ხმა,
გულ-გამგმირი, წვალებისა!
ღმერთო, ღმერთო, შენ მოსპევი
ბოროტება ქვეყნის პირსა!

1881 წ., 20 აპრილი.
ქუთაისი.

ქუთაისის ძველ ტაძარს

მაღლობ ალაგზე
ქარაფსა კლდეზე,
ტაძარი ძველი ნაშენებია.
გაოხრებულის,
გაუქმებულის,
გარშემო ხარობს მცენარენია...
ნახჩნი კედელზედ _
ძველი ჩუქურთმა
სუროს ფოთლებით დაფარულია...
შოშია, მტრედი,
ბეღურა ჩიტი,

ფრინველი ბუდობს შიგ მრავალია...
კლდის ძირს მდინარე,
მალ მომდინარე,
თეთრსა ქვებზედა გადასხმულია.
იქავე ფერმის
სალხენად ერის,
ხილნარის ბაღი გამართულია.
მის არემარე,
ვით მზე და მთვარე,
მნახველთათვისა გასახარია.
ცა მოწმენდილი _
ლაჟვარდის ფერი,
ამ არემარეს ზედ დასცქერია...
წმინდა ჰაერი
ქუთაისისა
სწავლულთა ბრძანეს, რომ ნაქებია.
აი, ამ ძეგლმა,
ტაძარმა ძველმა,
აღტაცებულსა ეს მათქმევინა:
ჰეი, ტაძარო,
მტრისგან დამწვარო!
რამდენი სისხლი შენთვის დაღვრილა!
უშენებიხარ,
უმშვენებიხარ,
დღეს კი უქმადა აწ დარჩენილხარ.
შენ სახლი ღვთისა,
გზა კეთილისა,
შთენილხარ ძეგლად წარსულ დროისა.
როდეს ქართველი,
შენი მმართველი,
ყოველ კუთხეზედ ებრძოდა,
რომ დედაენა,
სარწმუნოება,
უდროოდ მისთვის არვის წაერთვა.
თვითონ ეწვალა,
ღონე ეცვალა,
რადგანაც ბედი არ მოეხმარა:
ღონე მიხდილმა,
ლომმა და გმირმა _
ვეღარ გაუძლო სხვადასხვა მტერსა,
თურქ, სპარსელებსა
და არაბებსა...
უთხრა შვილებსა ფერმიხდილებსა:
შვილნო, ქართველნო!
ბოროტის მტერნო!

მეცადინობა არვინ დაჰკარგოთ!
ყველამ ეცადეთ,
აღთქმად ეს დასდეთ,
მაცდურებისგან აღარ მოსტყუვდეთ...
ეს უცხო ერნი,
ქართველთა მტერნი _
ჩვენი ქვეყნიდან სულ გავაძეოთ...
ჩვენ ქართველთ ენა -
გვიბოძა ზენამ,
საშვილიშვილოდ უნდა დავიცვათ...
და მით ჩვენს გვარსა,
თან მთა და ბარსა,
შვილნო, გაუღოთ სიბრძნისა კარი...
ოცნებით ხელი,
ტაძრის მნახველი,
დიდხანს დავფიქრდი ცრემლისა მღვრელი.
ამ დროს ტაძრიდან,
მტრისგან დამწვრიდან
თითქოს მომესმა მისგან ეს სიტყვა:
«წარსული იცი, აწმყოს მოჰყევი»...
აქ ჩემმა გულმა,'
აღელვებულმა,
რაც ვერა სთქვა რა, იგრძნოს მკითხველმა...
ეჰ, რაღა რა ვსთქვა...
სჯობს გრძნობა ჩავსთქვა
წარსულზე ვწუხვარ აწი რაღა დროს.

1881 წ., 26 მაისი.
ქუთაისი.

ხუთი სწავლა

ძმაო, ხუთ სწავლას გასწავლი,
გახსოვდეს და ნუ შესცდები:
უგბილსა და უმეცარსა
ნურაოდეს მიენდობი.

შეუმცნობელს გაუფრთხილდი,
უსუსურად არ ეჩვენო;
სწავლული ხარ _ ცუდს არ მიჰყვე,
ცრუ გვერდით არ გაიჩერო.
არ დაივიწყო, გახსოვდეს,
ძუნწ კაცს სტუმრად არ ეწვიო,
გლახასავით ჩუქებასაც
არაოდეს დაეჩვიო.
1881 წ., 3 ივლისი.

გურიის ხიდისთავი.

* * *

მოდი, ძმაო, ხელი მომე,
წინ გაუძღვეთ ამ ბრმა ხალხსა;
ღობე-ყორეს ავაშოროთ,
დავაყენოთ კეთილ გზასა.

გზასა ვლიდეს თავისუფლად
და იკვლევდეს სწორედ მასა;
ზედ დამღერდეს გრძნობით ჩონგურს,
საიმედო მომავალსა.

მივიყვანოთ იქამდინა, _
მგლის არ ეშინოდეს ცხვარსა;
და ვინც გლახას კაცად არ სთვლის,
ეძახოდეს მაშინ ძმასა.

1881 წ., 5 ივლისი.
ჩოხატაური.

<u>თ ხ ო ვ ნ ა</u>

ჰე, ღმერთო, ერთო, გეაჯ, გთხოვ,
შენ მომე ჭკუა, ღონეო;
კაცთმოყვარება, სიმართლე,
უმეცარს ჩამაგონეო!

ქურდობას, ღალატს მარიდე,
გზა მრუდი გამიფონეო;
ბოროტისაგან დამიხსენ,
სიმართლეს შემიწონეო.
ყველას სახმარად გახადე,
რაც კარგი მოიგონეო;
კეთილს უმსხვერპლე, უფალო,
ჩემი ძალი და ღონეო!
1881 წ., 29 ივლისი.
ქუთაისი.

* * *

ვაი, საწყალ მუშის მჩაგვრელს,
აწმყო დროსა დაბურდულსა;

ძმა ძმას ძმობას ვეღარ უწევს,
ერთმანეთსა გლეჯენ სულსა.

ღამის მნათი მთვარეც ქვეყნად
აღარა ჰფენს თვის სხივებსა;
და ბულბულიც აღარ უმღერს
ყოვლად კეკლუც გაზაფხულსა.

იმისთვის რომ ჩვენსა მხარეს
თავს დაჰყურებს იალბუზი,
მისი ყინვით დაგვმართია'
ზოგს სიმუნჯე, ზოგსა კუზი.

ჰე, გაჩუმდი, შე საბრალო,
ლექსთა ღმერთა, ჩემო მუზა!
კრული იყოს, ვინც უდროოდ
ჩემებრივა შენც მოგკუზა.

1881 წ., 18 სექტემბერი.
ს. მათხოჯი.

ბედის წყალო

რამ დაგაშრო, შე ოხერო,
ღარიბების ბედის წყარო?!
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო!

მე გულსა მწვავს ეს სოფელი
ორნაირად გაყოფილი:
ბედით ჩაგრულს უღვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი!

ზოგი ხარობს და ზოგი კი
ბნელს მარხია, როგორც ჭური,
მძლავრნი ამ ჭურს ჩასძახიან:
გაგვიწიე სამსახური!

1881 წ. 21 დეკემბერი.
თბილისი.

გვალვის წელიწადს

გვალვის ზაფხული დაგვიდგა,
ფერმიხდილხარ, მთა და ბარო;
ტყეები სულ გადაგვეწვა,

შენცა შრები, მთისა წყარო...

მზე მაღლიდან ცეცხლთა აფრქვევს,
წითლად მოსჩანს ცის სამყარო...
გეყო, გეყო ჩვენსკენ ქროლა,
ჩასდექ, ჩრდილოეთის ქარო...

ვიტანჯები მიწის მუშა,
მოგვეხმარე, მაცხოვარო!
ამდენხანსა რაც ვიტანჯეთ
გევედრები, რომ გვაკმარო...

1881 წ.

<u>მ ე ს ტ ვ ი რ უ ლ ი</u>

დაგვიდგა ცუდი დროება,
მოგვაკლდა თვალთა ჩინია,
დაქსაქსულნი ვართ ოჯახში,
აღარ გვაქვს ერთი პირია.

დაირით, ზურნით, ნაღარით,
გამვირდა ძველი ლხინია;
გულსა გვიფარავს გარედან
თეთრი რამ ფარატინია.

შიგნით კი შურით, ბოროტით,
შავად ვართ გალესილია:
ძმა ძმასთან ვეღარ დამდგარა,
მამას სცემს თავის შვილია.

ხელოსნობა აღარ გადის
ახალია თუ ძველია:
ვაჭრებმაც ვაჭრობაზედა,
ლამის აიღონ ხელია.

მღვდელნიც ჩივიან ცუდ დროზედ,
მამები, წმინდა-ბერები:
რა ვქნათ და რა ვიქადაგოთ,
შიმშილით გვეწვის წელები.

სწავლას და შრომას დავადგეთ,
სუყველამ გავძრათ ხელები;
ავიღოთ ბარი, ნიჩაბი,

გუთანი, ზოგმა ცელები.

შევაბათ ნიშა, ნიკორა,
მოვხნათ სულ მთა და ველები:
მთაში დავთესოთ ქერ-დიკა.
ბარში პურ-უგრეხელები.
ქართველნი შრომით განთქმულან,
იბრძოდნენ ჩვენი ძველები,
მტრის წინა შეუპოვრებსა,
სისხლით მოურწყავთ ველები.

ზოგჯერ ჰყოლიათ მძლავრები.
გარყვნილი, გაიძვერები, _
სამშობლო გაუყიდიათ,
დაუბანიათ ხელები.

ვინც დღეს გაყიდოს სამშობლო,
გარს მოუკიდოთ გენია;
წინ გაუძეხი, მწერლობავ,
დღეს გამარჯვება შენია!

უფალო, მოგვეც ძალ-ღონე,
არ მოგვერიოს ძილია;
არ დაგვისეტყვო ყანები,
გევედროთ, წმინდა ილია!

ღვთისა დედაო, შენცა გთხოვთ _
არ აგვარიდო პირია:
ივერსა მტერი აშორო,
იგი ხომ შენი წილია.

ქართველთ ერის განათლებას
ნუ ივიწყებ, წმინდავ ნინო,
ენა, რჯულის აღსადგენად
შენი დროშა გადმოგვფინო.

ვენახების მოსავალსა
შენ უმატე, წმინდა შიო,
რომ ჩავასხათ საზედაშო
შენსა განთქმულ მარანშიო.

1883 წ.

* * *

კარებზედ წაუწერია:

დედავ, გიკვდები შვილიო,
აღარ დამატკბობს ჰაერი,
რიონის სიო, ჩრდილიო;
შუქს ვეღარ მომფენს მზე, მთვარე,
მიწა დამფარავს გრილიო.
მშვიდობით, დედავ-სამშობლო,
აგცილდეს გასაჭირო.

1883 წ.

<u>გლეხის პასუხი</u>

(ვუძღვნი გ. და-შვილს)

სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია,
უქუდო, ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.

ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგას გასაჭირია,
სადაცა ვარდსა დავეძებ,
იქ მხვდება ეკლის ძირია.

მამაც ამ რიგად ტანჯულა.
ვით ვიტანჯები შვილია;
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამიღია პირია.

მე ვინ მომაცლის იმდენსა,
გლეხმა ვისწავლო ანბანი,
დავჯდე და წიგნი ვიკითხო,
გავიგო ქვეყნის ამბავი!
მიწაა ჩემი ქაღალდი,
გუთანი _ ბასრი კალამი,
და მელნად ჩემგნით ნაწური
ოფლი, უზომოდ ნაღვარი.

ლომას და ჭონქას ჭირიმე,
დამითესავენ ყანასა...
ხოდაბუნს ძმაში არ გავსცვლი,
დავმღერი «ოროველასა».

ან კი რად მინდა ანბანი,

რად მინდა თქვენი დავთარი:
უნებურ მუნჯი შევქნილვარ,
ვერ მითქვამს ერთი მართალი.

დრო მოვა, წავა, გაივლის,
ეს დრო, ვით ცივი ზამთარი;
არსენავ, გლეხის მოყვარევ,
გავხდები შენი ამქარი.

მაშინ გაფუჭდეს გოგია,
თუ შემეშინდეს რისამე!
ქონება მქონდეს, არ გავსცე,
ოხრად დამირჩეს ქისა მე.

თავზედ დამეცეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე:
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე.

1883 წ.

<u>თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ ა ნ</u>

ქართველ ქალებზე ლამაზი
ძვირია ქვეყნის პირსაო:
თამარი იყო პირველი,
ცალი მნათობი მზისაო.

ქვეშევრდომთ დიდი მოყვარე,
ქვრივისა, ობოლისაო,
ვეზირი ჰყავდა სწავლული,
ბადალი სოკრატისაო.

ლექსთა დამწერი პოეტი
ვეფხისა ტყაოსნისაო,
შვიდას წლის წინათ მომკვდარი,
დღესაც ფარანი გზისაო.

თამარი იყო მოყვარე,
მმოსავი მაღალ ღვთისაო,
ერთხელ შეესწრო საყდარში
შინ დაავიწყდა ქისაო.

საყდართან დახვდნენ გლახები,
მთხოვნელი წყალობისაო,
ეს რომა ნახა, შესწუხდა,
რად დამავიწყდა ქისაო.

შეიხსნა ძვირფას ქამარი,
გლახებს გადასცა ისაო...
შავი ზღვით კასპის ზღვამდინა,
სულ განაგებდა ისაო.

ააგო ციხე, საყდრები,
ნათალი სალი კლდისაო;
შიგ დაასვენა ხატები,
ოქრო-ვერცხლის და ხისაო.
სამეფო საქმით მოცლილი,
ართავდა ძვირფას მატყლსაო,
ჰკერავდა სხვადასხვა რამეს,
შესამოსელსა კარგსაო.

როცა გაჰყიდდა, იმის ფასს
დაურიგებდა ხალხსაო:
მისი ხილვა დედობრივი
შეეძლო ყველა ქალსაო.

თუმც მეფე იყო, მაგრამ კი
ის იმდაბლებდა თავსაო;
კეთილი სიტყვით, სამართლით
ასამართლებდა ხალხსაო.

ის იყო დედა ქართველთა,
ტაძარი სიმართლისაო;
გვირგვინი პატიოსნების,
ფარანი ბნელი გზისაო.

1883 წ., გორი.

<u>გ ლ ე ხ ი</u>

მთელი ერის მარჩენალი,
გლეხკაცია, მიწის მუშა,
რაც რომ მძიმედ უღლად აწევს,
არ იქნა, არ დაიფუშა.

წლითი წლამდე გლეხი შრომობს,
წაუხრია მისთვის ქედი;

ფიქრობს თუ რით შეიცვლება
დაბურდული მისი ბედი.

დასცინიან უგრძნობარნი,
დაზრდილები მის შრომითა;
იმედია, ჩაჰქვავდება
ავის მთქმელი შავი ქვითა.

ვინც უარჰყოფს გლეხის ნაშრომს,
გასტენია თავი ბზითა;
წყეულია ყველასაგან,
წყეულია მაღალ ღვთითა.

ნაკურთხია გლეხი კაცი,
დიდადა და დიდებითა!
წაიმართოს გლეხის საქმე,
წაიმართოს ყოველ მხრითა.

1883 წ.

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო ერთი თხაო,
ბოტად გადიქცაო;
იუკადრისა მოძმენი,
განზე გაუხტაო.

ამბობენ, რომ შეიძინა
თბილი ღელე, მთაო;
დანავარდობს ამ ღელეში,
თუ რომ მოუხდაო.

არ ეწყინოთ ზოგიერთებს
ამ ზღაპრისა თქმაო;
თავის თავზედ არ მიიღონ,
რაც რომ თხამა ჰქნაო.

1884 წ.

ახალწლის მილოცვა

ახალ წელიწადს გილოცავთ
მთლად ივერიის ერსაო:
ქართლელს, იმერელს, კახელსა,

მეგრელს და გურულებსაო;
სვანებს, აფხაზებს, რაჭველებს,
ფშავებს და ხევსურებსაო, _
საერთოდ ყველა ქართველებს,
ჭირში და ლხინში ძმებსაო!
ღმერთმა ჰქნას, ყველა ეძებდეთ
და-ძმურად კეთილ გზებსაო;
სწავლაში, ხელოვნებაში,
რომ არ ჩამორჩეთ სხვებსაო.
განათლებული ხალხისგან
სწავლობდეთ ყველაფერსაო;
მოყვარეს ძმურად დაუხვდეთ,
პასუხი გასცეთ მტერსაო;
მოძმესა გაჭირვებულსა
ძმურად აწვდიდეთ ხელსაო,
მეც თქვენთვის შევევედრები
მაცხოვარს, ტანჯულთ მხსნელსაო:
სეტყვა და გვალვა აშოროს
თქვენს მინდორს მთა და ველსაო.
დიდი ბარაქა მიეცეს
ნამუშევარსა თქვენსაო.
რასაც კეთილსა ელოდეთ,
ის მოგაყენოთ კარსაო.
მხიარულათა უჭვრეტდეთ
მაღლა ციაგა ცასაო,
სიმართლის გზაზე ვიდოდეთ,
არ გადუხვიოთ მასაო.

1884 წ. 31 დეკემბერი.
თბილისი.

<u>მ კ ა თ ა თ ვ ე</u>

მკათათვე დადგა, ჩამოცხა,
ხმელია ყანა სამკალი;
სიცხისა ლული ტრიალებს,
მუშის მტანჯველი, ტიალი.

ბიჭები მკიან ყანასა,
ნამგლებს გაუდის ჟღრიალი,
ჰაერი აღარ მოძრაობს,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი.

სამკლისა პირსა პანტის ქვეშ

დარბიან გოგო-ბიჭები;
ღორ-ხბო დაყრილა ჭალის პირს
სიცხით შეჰკვრიათ კრიჭები.

არსად სჩანს კაცის ერთგული
ქოფაკი ძაღლი თოლია,
ჩირგვს ქვეშა წამოწოლილა,
სადაც რომ რბილი მოლია.

მუშა იძახის «ჰოპუნას»,
გადუღეღიათ გულები;
ყანის მკას მწკრივად მისდევენ,
ვით ერთად გადაბმულები.

მზემ გადიხარა, აგრილდა,
მიწყნარდა ნამგლის ტრიალი;
ფრინველთა მორთეს გალობა,
ფოთლებმაც იწყეს შრიალი.

შინ ბრუნდებიან მუშები,
სიმღერას გააქვს გრიალი.
ძნით დადებულმა ურმებმა
უსაპნოდ მორთეს ჭრიალი.
მოდიან გოგო-ბიჭებიც,
უკან მოსდევენ ხბორებსა;
თოლიაც თავის თეთრ კუდსა
მორბის და მოაქროლებსა.

1885 წ., 5 ივლისი.

ჯ ე ჯ ი ლ ი

(ვუძღვნი პაწია ლევანს)

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო.
იკურთხოს იმის მარჯვენა
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

დაპურდი, ჩემო ნუგეშო,
იზარდე თანდათანაო,
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო.

ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო;

იზარდე, გაახარევი
ყმაწვილი ჩემისთანაო.

შრომის შვილი ვარ, ყარიბი,
არავინ გამიტანაო:
ვისაც კი ძმურად მივენდე,
მან გულს დამასვა დანაო.

ნეტავი აქ არ მამყოფა,
ქალაქში ჩამიყვანაო:
მასწავლა რამე ხელობა,
მასწავლა ანა-ბანაო.
ამაღლდი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო;
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ნამგლებით გარსა გეხვივნენ
ბიჭები ჩემისთანაო:
პეტრე, გიორგი, თევდორე,
ბესო და ალმასხანაო.

ჯერს უმზადებდეს თინია,
ა იმ ბერ კაკლებთანაო:
სოსოს ხელადა მოჰქონდეს,
ცივცივი წყაროდანაო.

1885 წ.

<u>გ ა მ ო ც ა ნ ა</u>

არცა ვარ პური, არც ღვინო,
არც თმის საღები ინაო;
ვინც შემიძინა მე მეტი,
წინ ვერვინ წაურბინაო.

ჩემს თავს ვერავინ წაართმევს,
თუნდ სცემონ ქვა და რკინაო;
მასთან ვარ მისდა საქებრად,
ჩემით სხვას უძღვის წინაო.

<u>ა ხ ს ნ ა</u>

რას მომცემ გამოცანაში,
ჩემო ძვირფასო ძიაო:
სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ნათელი დღეაო.

* * *

ია-ვარდის ტკბილსა სუნსა
მთლად მოუცავს არემარე:
დღისით მზეა _ არა ცხელა,
ღამითა დგა ნათელ-მთვარე.

ამ სურათისა მნახველი
დავსუსტდი და ვიქმენ ხელი!
ნუთუ მართლა ვეღარ ვნახავ,
ვისზედ ვწუხვარ, ვისაც ველი?

არა მჯერა _ მტარვალს დარჩეს
ჩემი ტურფა საყვარელი!

1885 წ.

* * *

წუთისოფელში ცხოვრება
შემექნა გასაჭირადა,
მიჯობს, რომ მოვკვდე დროისად,
რად დავალ ქვეყნის პირადა!

არ იქნა, სადაც მინდოდა,
ვერ გავიყვანე არხია;
ვერ დავაბრუნე, რაღა ვქნა,
წაღმა ცხოვრების ჩარხია!

რად არის კაცი ცოცხალი,
რომელიც ქვეყნის ბარგია,
ვინც მოქმედებს თავისთვის
სხვას კი არაფერს არგია?

1886 წ.

<u>გ ლ ე ხ ი ბ ი ჭ ი ს ვ ე დ რ ე ბ ა</u>

შრომის შვილი ვარ, პატარა,
სკოლაში დავიარები;
სწავლის და ცოდნის ჭირიმე,
მას მე არ გავეპარები.

ქურდობას, ავაზაკობას

ახლოს და მივეკარები,
მოძმესა გაჭირვებულსა,
ძმურადა მოვეხმარები.

სწავლის გზა ფართო მომეცით
არ დამიკეტოთ კარები;
გლეხი ვარ, მაგრამ კაცი ვარ,
მეც ქვეყნად დავიარები.

კ ა ლ ა მ ს

აწ დაისვენე, მშვიდობით,
შენ, ჩემო სუსტო კალამო,
ბოროტის გულის გამგმირო,
მაგრამ კეთილის მალამო!..

გამჭირვებია ცხოვრება,
ვზივარ და მწარედ ვტირია:
ბევრი რამა ვთქვი საგრძნობი,
მაგრამ მსმენელი ძვირია!

* * *

ნუ ითხოვთ ჩემგან არშიყულ ლექსებს!
ჩემი ლექსები მეტად მწარია:
შხამით, ბოროტით მოწამლულები,
ვით შემოდგომის ავი დარია.

იმათი ხმანი, ვით ცისა ჭექა,
ბოროტთა გულის გამგმირელია,
მაგრამ კეთილის, კეთილმყოფელის,
გულში ნათელის ჩამდგომელია.

ს ი მ ღ ე რ ა

შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ეცადე ჩქარა.
შემდეგ წიგნისა _ თოხნა და ბარვა,
არა სხვასავით ხვეჭა და პარვა!

ძმაო, ვინც სწავლა არ მოიხმარა,

იგი ტანჯვისა მსხვერპლი გამხდარა.
ისწავლე წიგნი, ბიჭო პატარა,
მანამ დაგცქერის ცისა კამარა!

ვიდრე ხარ ქვეყნად, სწავლა არ კმარა,
მოხუცი იყვე თუნდა პატარა...
ვინც რომა სწავლა არ დაიზარა,
იგი ამ ქვეყნის ძეგლი გამხდარა.

ვინც მონის შრომით დრო გაატარა,
მისი ხსენება მსწრაფლად გამქრალა.
შრომისა შვილო, გლეხო პატარა,
ისწავლე წიგნი, ისწავლე ჩქარა!

* * *

ღმერთო, ყოველ ჟამს გემდური,
მაქვს შენთან სამდურავია,
სიცოცხლე მწარე მოგვეცი,
თავს მტერი უთვალავია.

უსამართლობამ დაგვჩაგრა,
გავხდით ვით მომაკვდავია,
ნაშრომი მტერმა წაგვართვა,
მარტოღა დაგვრჩა თავია.

ენა გვაქვს _ ვერ ვლაპარაკობთ,
ხმა ვერსად მიგვიწვდენია;
სიმართლის თქმისთვის გვიჭერენ,
აზრი ვერ დაგვიწერია.

აზრსა ვსწერთ _ ხელებს გვიკრავენ,
რადგან სიმართლე სწერია:
გზად მივალთ _ წინ გვეღობება
ურიცხვი ბილწი მტერია.

მაგრამ გული გვაქვს მაგარი...
ვით სალი კლდის ნაჭერია;
სიმართლის დროშას ავმართავთ,
მკლავში ძალა შეგვრჩენია.

აღარ ვემონვით მტარვალებთ.
ვიცანთ ცხოვრების ძალია,
მტრისა უღლისა მონობის
ჩვენ აღარა გვაქვს ვალია!